მეორე დამარცხება

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი კორ.).

დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულნი უდიდესი ინტერესით მოელოდნენ მატჩს მოსკოვის "ტორპედოსა" და თბილისის "დინამოს" შორის. მათს მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილა ამ გუნდების დაუვიწყარი თამაში შარშანდელი თასის გათამაშების ფინალში და საერთოდ, იშვიათად, რომ უინტერესო გამოდგეს თბილისელთა შეხვედრები "ტორპედოსთან".

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, ეს მოლოდინი არ გამართლდა. ორივე გუნდი თამაშობდა თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით დაბლა. აშკარად იგრძნობოდა, რომ როგორც ტორპედოელები, ისე დინამოელები შორს არიან თავიანთი ნამდვილი საბრძოლო ფორმისაგან.

ერთადერთი ბურთი, რომელიც ტორპედოელმა ივანოვმა გაიტანა პირველ ტაიმში, სტუმრების დაცვის უხეში შეცდომის შედეგია. ძნელია ითქვას, ვის ჰქონდა საერთო უპირატესობა განვლილ მატჩში, მაგრამ თბილისელებს რამდენიმეჯერ შეეძლოთ გაეთანაბრებინათ ანგარიში. ბარქაიამ, მელაშვილმა და კალოევმა ვერ შეძლეს უაღრესად ხელსაყრელი მომენტების გამოყენება.

ტორპედოელებმა შეძლეს თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ ეს მეტად მნიშვნელოვანი თამაში _ 1:0.

ვ. პავლოვი.
"ლელო", 4 მაისი, 1961 წ.